ღია საზოგადოების ფონდი

თბილისი, 2022 წლის ნოემბერი

სექსუალური ხასიათის დანაშაულები – დაუსჯელი და არასათანადოდ რეგულირებული დანაშაულები საქართველოში

პოლიტიკის დოკუმენტი

ავტორი:
ბაია პატარაია**
ნათია გამხიტაშვილი*
კავშირი „საფარის“ სახელით

დოკუმენტი მომზადებულია „ღია საზოგადოების ფონდის“ შიდა პროექტის „ევროკავშირი-საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების მონიტორინგი საზოგადოებრივი ორგანიზაციების კოალიციის მიერ“. ტექსტისა და კომენტარების ავტორის მიერ გამოხატული შეხედულებები, მოსაზრებები და განცხადებები მხოლოდ მას ეკუთვნის და არ გამოხატავს ფონდის მოსაზრებას. შესაბამისად, ფონდი მასალის შინაარსზე პასუხს არ აგებს.

რეზიუმე

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტი ყურადღებას ამახვილებს სექსუალური ხასიათის დანაშაულებთან სისხლისსამართლებრივი ნორმების იმპლემენტაციის პრობლემაზე. გაუპატიურებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა საქართველოში არის დისკრიმინაციული, საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამო და ეფუძნება არსებულ გენდერულ სტერეოტიპებს, რომლებიც არა მხოლოდ ზღუდავენ გაუპატიურების შემთხვევებზე სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოებას, არამედ უარყოფითად მოქმედებენ სამართალდამცავების, მსხვერპლებისა და მოძალადეების აღქმაზე, თუ რა წარმოადგენს გაუპატიურებას. პოლიტიკის დოკუმენტი მიმოიხილავს არსებულ პრობლემას, აფასებს საქართველოს არსებულ კანონმდებლობას, ადარებს მას საერთაშორისო სტანდარტებთან, ასახავს პრაქტიკაში არსებულ პრობლემებს და საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით წარმოადგენს რეკომენდაციებს საკანონმდებლო ბაზის, გამოძიებისა და სამართლებრივი დევნის გაუმჯობესების შესახებ.

შესავალი

ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების 2021-2027 წლების დღის წესრიგის თანახმად, თანასწორ მოპყრობასთან დაკავშირებული ერთ-ერთი მოკლევადიანი პრიორიტეტია „შემდგომი ზომების გატარება გენდერული ძალადობის წინააღმდეგ კანონმდებლობის განხორციელების

***ბაია პატარაია** ქალთა ორგანიზაცია „საფარის“ დირექტორია და აქტიურად არის ჩართული საქართველოს ქალთა მოძრაობაში. იგი თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან როგორც ეროვნული ექსპერტი ქალთა საკითხებში და კითხულობს ლექციებს სხვადასხვა უნივერსიტეტში ადამიანის უფლებების, ქალთა უფლებებისა და ანტიდისკრიმინაციული სამართლის სფეროში. მან სამართლის მაგისტრის ხარისხი ცენტრალური ევროპისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტებში მიიღო.

****ნათია გამხიტაშვილი** „საფარის“ სტრატეგიული სამართალწარმოების იურისტია. იგი, ძირითადად, მუშაობს საქმეებზე, რომლებსაც ორგანიზაცია აწარმოებს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსა და გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტში. ორგანიზაციის სახელით, იგი ასევე ამზადებს ანგარიშებს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციაში წარსადგენად. „კოალიციის თანასწორობისთვის“ „საფარის“ თავმჯდომარეობის პერიოდში, ნათიას ჩატარებული აქვს არაერთი საინფორმაციო შეხვედრა დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან.

გასაუმჯობესებლად, მათ შორის ფართო საზოგადოებისა და კონკრეტული პროფესიული ჯგუფების, როგორიც არის პოლიცია, ინფორმირებულობის გაზრდის მეშვეობით, განსაკუთრებით კი სასოფლო დასახლებებში."[1] წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტი ყურადღებას ამახვილებს ქალთა მიმართ სექსუალურ ძალადობაზე საქართველოში, რადგან ეს არის გენდერული ძალადობის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე, დაფარული და დაუსჯელი ფორმა, რომელიც გამოწვეულია არსებული საკანონმდებლო, სტრუქტურული და სისტემური პრობლემებით.[2] სექსუალური ძალადობის გამომწვევი მიზეზი არის სტრუქტურული და სისტემური უთანასწორობა, გენდერული დისკრიმინაცია და ქალებსა და მამაკაცებს შორის ძალაუფლების დისბალანსი. სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობაში მნიშვნელოვანი ბარიერებია ამ თემასთან დაკავშირებული ტაბუ, გენდერული სტერეოტიპები და დისკრიმინაციული საგამოძიებო პროცედურები, რომლებიც პრაქტიკაში გამოიყენება. ეს ასევე რისკ-ფაქტორებია ხელახალი ტრავმატიზაციისა და მეორადი ვიქტიმიზაციისთვის. საქართველოს კანონმდებლობა კვლავ შეუსაბამობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან გაუპატიურებისა და სექსუალური ხასიათის სხვა დანაშაულების განმარტებების თვალსაზრისით.[3]

საქართველოში სექსუალური ძალადობა გავრცელებულია, თუმცა მის შესახებ შეტყობინება იშვიათად ხდება. გაეროს ქალთა ორგანიზაციის „საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევის" (2017) მიხედვით, ქალების 26%-ზე მეტს განუცდია სექსუალური შევიწროება ან სექსუალური ძალადობა სიცოცხლის განმავლობაში. გარდა ამისა, ქალების 2.3%-მა განაცხადა, რომ იყო სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ინტიმური პარტნიორის მხრიდან, ხოლო 2.7%-მა არაპარტნიორის მხრიდან და 9%-მა ბავშვობაში განცდილი სექსუალური ძალადობა დაასახელა.[4]

სექსუალური ძალადობის გავრცელების მიუხედავად, შეტყობინებისა და მსჯავრდების მაჩვენებლები ძალიან დაბალია. გენერალური პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2017 წლიდან 2018 წლამდე, ერთი წლის განმავლობაში, გამოძიება დაიწყო 123 საქმეზე, რომლებიც ეხებოდა სექსუალურ ძალადობას ან სექსუალური ძალადობის მცდელობას ზრდასრულ ქალებზე. აქედან მხოლოდ 20 საქმეს მოჰყვა გამამტყუნებელი განაჩენი და მხოლოდ 15 საქმეს – დამნაშავეთა პატიმრობა. ეს სტატისტიკა ცხადყოფს, რომ არსებობს სექსუალური ძალადობის შეტყობინებული დანაშაულების გაცხრილვის მაღალი მაჩვენებელი და ამ შემთხვევათა დიდი უმრავლესობა სასამართლოში განსახილველად ვერასოდეს აღწევს.[5]

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოს სამართალდამცავმა ორგანოებმა გადადგეს ნაბიჯები სექსუალური დანაშაულების წინააღმდეგ ეფექტიანად საბრძოლველად. მაგალითად, 2021 წელს გენერალურმა პროკურატურამ და შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ორგანიზაციასთან Equality Now, ევროპის საბჭოსთან და გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, ჩაატარეს ტრენინგის კურსები გამომძიებლებისა და პროკურორებისთვის სექსუალური ძალადობის შესახებ. მონაწილეებმა მიიღეს სპეციალიზაცია სექსუალური ძალადობის საკითხში. 2021 წელს პროკურატურის 80-მა გამომძიებელმა და პროკურორმა და შინაგან საქმეთა სამინისტროს 250-მდე პოლიციელმა და გამომძიებელმა გაიარეს ტრენინგები „სექსუალური ძალადობის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლო განხილვის სახელმძღვანელოს (გამომძიებლების, პროკურორებისა და მოსამართლეების-

[1] ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების საბჭოს რეკომენდაცია № 1/2022 ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების 2021-2027 წლების დღის წესრიგის შესახებ, 2022, ასოცირების დღის წესრიგის მოკლე და საშუალოვადიანი პრიორიტეტები, 1.5. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე:

https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/HTML/?uri=CELEX:22022D1422&from=EN

[2] „საიას შეფასება ქალთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ", საია, 2021. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/3sEep6k

[3] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლები 137-139.

[4] „საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა", 2017, გაეროს ქალთა ორგანიზაცია.

[5] ორგანიზაციის Equality Now და 11 ქართული არასამთავრობო ორგანიზაციის ერთობლივი ალტერნატიული ანგარიში ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და ბრძოლის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის განხორციელების შესახებ საქართველოში სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებით, წარდგენილი GREVIO კომიტეტში 2021 წლის ოქტომბერში, გვ. 9. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/3BplEFO

თვის)“ მიხედვით. ტრენინგებმა მოიცვა მრავალი მნიშვნელოვანი სფერო სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის მართლმსაჯულებაზე წვდომის უზრუნველსაყოფად. შინაგან საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ ტრენინგების შედეგად გამომძიებლების პრაქტიკული საქმიანობა გაუმჯობედა.[6]

ამჟამად, 2022 წლის შემოდგომაზე, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო და ადამიანის უფლებათა კომიტეტი მუშაობენ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შემუშავებაზე სექსუალური ხასიათის დანაშაულების შესახებ კანონმდებლობის გასაუმჯობესებლად.

სექსუალური ხასიათის დანაშაულებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტები

არსებობს საერთაშორისო კონსენსუსი და ყველა, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლო, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტ, სტამბოლის კონვენცია, ინტერამერიკულ სასამართლო და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოები თანხმდება, რომ გაუპატიურებისა და სექსუალური ხასიათის სხვა დანაშაულების დეფინიციები უნდა ეფუძნებოდეს თანხმობის საკითხს.[7]

გაეროს „განახლებული მოდელის სტრატეგიები და პრაქტიკული ზომები ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრასთან დაკავშირებით დანაშაულის პრევენციისა და სისხლის სამართლის სფეროში“ მოუწოდებს სახელმწიფოებს, მიიღონ ზომები, რომლებიც მიმართულია გენდერულად მგრძნობიარე მიდგომების შემუშავებისა და ძალადობის მსხვერპლთა მიმართ ღირსეულად და პატივისცემით მოპყრობის უზრუნველყოფისაკენ მეორადი ვიქტიმიზაციის თავიდან ასაცილებლად.[8]

სტამბოლის კონვენცია და ადამიანის უფლებათა სხვა საერთაშორისო სტანდარტები მოუწოდებენ სახელმწიფოებს, განახორციელონ აუცილებელი საკანონმდებლო ან სხვა ზომები, რათა უზრუნველყონ, რომ სანქციები სექსუალური ძალადობის დანაშაულებისთვის იყოს „ეფექტური, თანაზომიერი და გადამარწმუნებელი ზეგავლენის მქონე.“[9]

საქართველოს კანონმდებლობის მიმოხილვა

საქართველოს კანონმდებლობა ამჟამად ითვალისწინებს გაუპატიურების ორ სხვადასხვა დანაშაულს. პირველი არის გაუპატიურების მუხლი (მუხლი 137), რომელშიც უფრო მკაცრი სასჯელებია განსაზღვრული. ხოლო მეორე, 139-ე მუხლში გათვალისწინებულ დანაშაულს, ეწოდება „იძულება“ და არა „გაუპატიურება“ და განიმარტება როგორც მსუბუქი დანაშაული, რომელიც ჩადენილია სხვა, არა ძალის გამოყენების ან დაუყოვნებელი ძალის გამოყენების მუქარის ან უმწეობის, გარემოებებში. ეს განამტკიცებს მითს, რომ თითქოს გაუპატიურება ყოველთვის ფიზიკურ ძალას გულისხმობს. გაუპატიურების და სექსუალური ძალადობის სხვა ქმედებების დადგენა დამოკიდებულია არა მსხვერპლის ნებაყოფლობითი და ჭეშმარიტი თანხმობის არარსებობაზე, არამედ იმაზე, არის თუ არა ქმედება „ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებული პირის უმწეო მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით.“ მაშასადამე, ძალადობა არის განმარტების შემადგენელი ელემენტი და არა დამამძიმებელი გარემოება. ეს განმარტება წარმოადგენს საკანონმდებლო ხარვეზს, რომელიც გენდერული სტერეოტიპების

[6] იქვე, გვ. 8.

[7] „მ.კ. ბულგარეთის წინააღმდეგ“, №39272/98, პუნქტი 181; სტამბოლის კონვენციის 36-ე მუხლი; ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტი, ზოგადი რეკომენდაცია №35; „ვერტიდო ფილიპინების წინააღმდეგ“, სამართლებრივი შეფასება, კომუნიკაცია №18/2008, UN Doc CEDAW/C/46/D/18/2008; „პროკურორი აკაიესუს წინააღმდეგ“, საქმე № ICTR-96-4, სასამართლოს გადაწყვეტილება 02.09,1998, პუნქტები 596-598. იხ. ასევე გენერალური ასამბლეის რეზოლუცია A/RES/65/228 – განახლებული მოდელის სტრატეგიები და პრაქტიკული ზომები ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრასთან დაკავშირებით დანაშაულის პრევენციისა და სისხლის სამართლის სფეროში, 2010 წ. მუხლი 14 (c)(iii) და (e). ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/3na2gFV

[8] იქვე, პუნქტი 18(c)(e), პუნქტი 20(a)(c)(d) და პუნქტი 22(c).

[9] სტამბოლის კონვენციის 45-ე მუხლი ავალდებულებს სახელმწიფოებს, განახორციელონ აუცილებელი საკანონმდებლო ან სხვა ზომები, რათა უზრუნველყონ, რომ სანქციები სექსუალური ძალადობისთვის იყოს „ეფექტური, თანაზომიერი და გადამარწმუნებელი ზეგავლენის მქონე“.

გავლენით არის გამოწვეული, და დაუსჯელს ტოვებს გაუპატიურებისა და სექსუალური ხასიათის სხვა დანაშაულებს.[10]

სისხლის სამართლის კოდექსის 139-ე მუხლით დადგენილი სექსუალური ძალადობის დანაშაულები კლასიფიცირებულია როგორც ნაკლებად მძიმე დანაშაულები და ითვალისწინებს არაპროპორციულად დაბალ სასჯელებს – 139-ე მუხლის საფუძველზე მინიმალური სასჯელია ჯარიმა, ხოლო მაქსიმალური – ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა. 139-ე მუხლით გათვალისწინებული განაჩენების ვიწრო დიაპაზონი გაუპატიურებას და სექსუალური ხასიათის სხვა, არა სექსუალური შეღწევის ფორმით ჩადენილ, ძალადობრივ ქმედებებს ათავსებს სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ „ნაკლებად მძიმე დანაშაულთა“ კატეგორიაში. პირმა, რომელიც აღიარებს „ნაკლებად მძიმე დანაშაულის“ ჩადენას, შეიძლება მიიღოს პირობითი სასჯელი, რაც შესაძლებელს ხდის, რომ გაუპატიურების ან სხვა, არა სექსუალური შეღწევის ფორმით ჩადენილი, ძალადობრივი ქმედებების ჩამდენ პირს დაეკისროს სანქცია, რომელიც არ არის არც ეფექტური, არც თანაზომიერი და არც გადამარწმუნებელი ზეგავლენის მქონე, რაც არღვევს სტამბოლის კონვენციას. ეს ტოვებს შესაძლებლობას, რომ 139-ე მუხლის საფუძველზე გაუპატიურებისთვის მსჯავრდებულმა დამნაშავემ პირობითი სასჯელი მიიღოს. უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ 137-ე და 138-ე მუხლებში გათვალისწინებულ დანაშაულებს მძიმე დანაშაულები ეწოდება, საპროცესო შეთანხმების შედეგად დამნაშავეს მაინც შეუძლია მიიღოს პირობითი სასჯელი ან ნებისმიერი სხვა მსუბუქი სასჯელი, რომელიც არ არის გათვალისწინებული აღნიშნული ნორმებით.

გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა ქალთა მიმართ ძალადობაზე, მისი გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების საკითხებზე საქართველოსთან დაკავშირებით გამოცემულ 2016 წლის ანგარიშში გააკრიტიკა ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული არათანმიმდევრული და ფრაგმენტული საკანონმდებლო ბაზა, რომელიც არ შეესაბამება სრულად გაეროს ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციასა და სტამბოლის კონვენციას. სპეციალურმა მომხსენებელმა ასევე გამოხატა შეშფოთება ამ საერთაშორისო ინსტრუმენტების არასრულფასოვანი იმპლემენტაციის გამო. ვიზიტის დროს მის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაცია იყო, რომ გაუპატიურების განმარტება შესაბამისობაში მოსულიყო აღნიშნულ კონვენციებთან, რასაც დაეთანხმა საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.[11] ამ ანგარიშის მიღებიდან ექვსი წლის შემდეგაც გაუპატიურების განმარტება უცვლელი რჩება.[12]

არსებული პრაქტიკის მიმოხილვა

„საფარის“ მოთხოვნის საფუძველზე შინაგან საქმეთა სამინისტროს და პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზი ადასტურებს, რომ სექსუალური ხასიათის დანაშაულთა მსხვერპლები აწყდებიან რიგ წინააღმდეგობებს დანაშაულის შეტყობინების მომენტიდან, სანამ საქმე სასამართლომდე მივა. შედეგად, თითოეულ ეტაპზე საგრძნობლად მცირდება სექსუალური ძალადობის შემთხვევებზე წარმოებათა რაოდენობა. კერძოდ, 112-მა – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრმა – 2018 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში 660 შეტყობინება დაარეგისტრირა „სექსუალური ძალადობის“ და „სექსუალური ხასიათის დანაშაულის“ შესახებ.[13] თუმცა აღნიშნული შეტყობინებებიდან გამოძიება მაქსიმუმ მხოლოდ 420 შემთხვევაზეა დაწყებული.[14] შესაბამისად, 220 ქალის მიერ მოწოდებული

[10] სექსუალური ძალადობის დანაშაულების შეზღუდული განმარტებებისა და ინტერპრეტაციების შესახებ დამატებით იხილეთ „ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება საქართველოში,“ სახალხო დამცველის აპარატი და ევროპის საბჭო, 2020 წლის დეკემბერი, გვ. 14-15. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/3FtqGCm

[11] დუბრავკა შიმონოვიჩის, გაეროს ქალთა მიმართ ძალადობის, მისი გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის, ანგარიში, 2016 წლის 22 ივლისი, A/HRC/32/42/Add.3, პუნქტები 61-62 და 99. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/3Ahlde7

[12] ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტმა ახლახან ეს საკითხი დაასახელა საქართველოსთან შემდგომი დიალოგის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სფეროდ და მოითხოვა ინფორმაცია სახელმწიფოს მიერ გაუპატიურების სამართლებრივი განმარტების შესაცვლელად მიღებული ზომების შესახებ თანხმობის არარსებობის და არა ძალის გამოყენების ან მუქარის საფუძველზე – ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტი, საქართველოს მეექვსე პერიოდულ ანგარიშთან დაკავშირებული საკითხებისა და კითხვების ჩამონათვალი, 2021 წლის 16 ივლისი, პუნქტი 10 (a).

[13] ამ ტიპის „სექსუალური ძალადობა“ და „სექსუალური დანაშაულები“ მოიცავს სექსუალური ხასიათის ნებისმიერ ქმედებას, კერძოდ, ძალადობრივ სექსუალურ შეურაცხყოფას (გაუპატიურებას) ნებისმიერი ასაკის პირის მიმართ, ასევე სექსუალური ხასიათის ნებისმიერ სხვა ქმედებას, რომელიც ჩადენილია ძალადობით ან ძალადობის მუქარით.

[14] იქვე.

შეტყობინება იმის შესახებ, რომ ისინი იყვნენ სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი, არ გამოძიებულა.

„საფარის“ პრაქტიკა აჩვენებს, რომ კვლავ ყველაზე აქტუალურ საკითხად რჩება სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის სამართლებრივი სტატუსის მინიჭების სურვილის უქონლობა/დაყოვნება, რის გამოც მსხვერპლს არ აქვს წვდომა საქმის მასალებზე და საგამოძიებო მოქმედებების შესახებ ინფორმაციაზე და რაც ძირს უთხრის გამოძიების ეფექტიანობას.[15] მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ მოითხოვს მსხვერპლის ჩვენების დადასტურებას ან მტკიცებულების მრავალ წყაროს, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს ბრალდებას ან მსჯავრდებას, სექსუალური ძალადობის საქმეებში ფართოდ არის გავრცელებული პრაქტიკა, რომ სავარაუდო დამნაშავეს არ უყენებენ ბრალს (და, შესაბამისად, არ ხდება მისი პასუხისგებაში მიცემა) სექსუალური ხასიათის დანაშაულთა იმ შემთხვევებში, რომლებშიც არ არსებობს ძალის გამოყენებით შეღწევის დამადასტურებელი მტკიცებულება და მოძალადის სხეულზე ან ტანსაცმელზე ნაპოვნი ბიოლოგიური მასალები.[16] შესაბამისად, სექსუალური ხასიათის არანებაყოფლობით შემთხვევათა დიდი უმრავლესობა არასოდეს აღწევს სამართლებრივი დევნის ეტაპს, რაც მოძალადეების საყოველთაო დაუსჯელობას იწვევს.[17]

პრაქტიკაში, განმარტების სხვა ელემენტების მსგავსად,[18] „უმწეო მდგომარეობა“ შეზღუდულად არის განმარტებული და არ ვრცელდება იძულებით გარემოებებზე,[19] თუმცა არ არსებობს მითითება, თუ რა წარმოადგენს იძულებით გარემოებებს ან თავისუფლად გაცემულ თანხმობას. შესაბამისად, შემთხვევების დიდ უმრავლესობაში გაუპატიურების სისხლისსამართლებრივი დევნისთვის ფიზიკური დაზიანებებია საჭირო.[20]

საქართველოში პრობლემას წარმოადგენს სისხლისსამართლებრივ პროცესებში სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა დაკითხვის კონკრეტული მეთოდოლოგიის არარსებობა. როგორც „კოალიციის თანასწორობისთვის“ მიერ არის დოკუმენტირებული მის საერთაშორისო ანგარიშებში, პოლიციის ოფიცრები ზუსტად/სრულად არ იწერენ მსხვერპლის განცხადებებს, მათ შორის სექსუალური ხასიათის დანაშაულებში. შესაბამისად, განცხადებებში არ არის დაფიქსირებული ფაქტები, რომლებიც ასახავს დამამძიმებელ გარემოებებს ან რომლებიც გადამწყვეტია დისკრიმინაციული გენდერული მოტივის დასადგენად, რაც იწვევს დანაშაულის ნაკლებად მძიმედ მიჩნევას.[21] გარდა ამისა, ბრალდებულის შერიგება მსხვერპლთან ბოდიშის მოხდით ან მსხვერპლზე დაქორწინებით ხშირად განიხილება შემამსუბუქებელ ფაქტორად, რაც იწვევს შედარებით მსუბუქ სასჯელებს სექსუალური ძალადობის ჩამდენი პირებისთვის და მათ დაუსჯელობას.[22]

ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები მუდმივად გმობენ საქართველოში არსებულ გენდერულ სტერეოტიპებს და დისკრიმინაციულ და მატრავმირებელ პროცედურებს, რაც შეიძლება შემდეგნაირად შეჯამდეს:

> *„ამ პროცედურების მიხედვით, მსხვერპლს მოეთხოვება შეხვდეს სხვადასხვა ადამიანს და რამდენჯერმე გაიმეოროს მისი ტრავმული გამოცდილების ფაქტები გამოძიების განმავლობაში; ხდება მსხვერპლის ადრინდელი სექსუალური ისტორიის გამოკვლევა გამოძიების დროს და, ყველაზე მძიმედ, დაცვის მხარის ადვოკატების მხრიდან სასამართლო პროცესის დროს;*

[15] კოალიცია თანასწორობისთვის, „დისკრიმინაციისგან დაცვის უფლების განხორციელება სხვადასხვა ჯგუფისთვის საქართველოში“ – 2021 წლის ანგარიში, 2022 წ., გვ. 43. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/3xPrrTh; იხილეთ, აგრეთვე, „საფარის“ 2022 წლის პრესკონფერენცია https://bit.ly/3neooiA

[16] სექსუალური ძალადობის დანაშაულისთვის სამართლებრივი დევნის დაბალი მაჩვენებელი მტკიცებულებებთან და დადასტურებასთან დაკავშირებული ძნელად შესასრულებელი მოთხოვნების გამო შეტანილია ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის 2021 წლის საკითხთა ჩამონათვალში საქართველოს მეექვსე პერიოდულ ანგარიშთან დაკავშირებით – ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტი, საკითხთა ჩამონათვალი, პუნქტი 10 (d).

[17] ზემოთ, სქოლიო 4, GREVIO, გვ. 17.

[18] „ძალადობა,“ ჩვეულებრივ, განიმარტება, როგორც ფიზიკური და არა ფსიქოლოგიური, ხოლო ძალადობა და „მუქარა“ განმარტებულია როგორც იმ წუთას მომხდარი ან რომელიც ემთხვევა სექსუალურ აქტს. ამიტომ იძულებით, ფსიქოლოგიური ძალადობით ან თუნდაც წინარე ძალადობით ჩადენილი სექსუალური აქტი თანხმობის გარეშე არ არის კლასიფიცირებული როგორც გაუპატიურება.

[19] ზემოთ, სქოლიო 18, სახალხო დამცველის აპარატი და ევროპის საბჭო, გვ. 14.

[20] ზემოთ, სქოლიო 4, GREVIO, გვ. 17.

[21] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფი (GREVIO).

[22] ზემოთ, სქოლიო 4, GREVIO, გვ. 16.

მსხვერპლის ფსიქიკური ჯანმრთელობის შესწავლა, რათა ეჭვქვეშ დადგეს მისი სანდოობა და გაირკვეს, არის თუ არა იგი „ტყუილისკენ მიდრეკილი"; აგრეთვე, გამოძიებისა თუ სასამართლო განხილვის ეტაპზე მსხვერპლები არ გამოიკითხებიან გენდერულად სენსიუტიურად. სექსუალური ძალადობის მსხვერპლები ასევე ყვებიან სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მხრიდან დამამცირებელი და დამცინავი დამოკიდებულების შესახებ, რაც, პოლიციის განყოფილებებში ადეკვატური ინფრასტრუქტურის ნაკლებობასთან ერთად, რიგ შემთხვევებში მსხვერპლებისთვის წარმოადგენს სისხლისსამართლებრივ გამოძიებაში მონაწილეობის ხელისშემშლელ გარემოებას."[23]

მსხვერპლის დაკითხვა გამოძიების ეტაპზე ხშირად ტარდება პოლიციის განყოფილების საერთო/კოლექტიურ სივრცეში, სადაც ასევე იმყოფებიან სხვა გამომძიებლები, მსხვერპლები და ისეთი ადამიანებიც კი, რომლებიც არ არიან დაკავშირებული საქმესთან, და მათ ადვილად შეუძლიათ მოისმინონ მსხვერპლის ამბავი. ეს იწვევს დამატებით შიშს და დამცირებას მსხვერპლთათვის მთელი პროცესის განმავლობაში. მსხვერპლები და მათი ადვოკატები აცხადებენ, რომ გამომძიებლების მიერ დაკითხვის დროს დასმული საგამოძიებო კითხვები და გაკეთებული კომენტარები ირიბად, ზოგჯერ კი აშკარად განსჯის მსხვერპლის ქცევას და მიზნად ისახავს დამნაშავესთან ერთად, პასუხისმგებლობის „ნაწილობრივ გადატანას" მსხვერპლზე ამ უკანასკნელის მიერ სექსუალური ძალადობის პროვოცირების გამო.

ნაადრევი ქორწინების დროს, სრულწლოვანი პირის მიერ წინასწარ შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველი პირის სხეულში სექსუალური შეღწევის (ე.წ. statutory rape) შემთხვევებში ფორმდება საპროცესო შეთანხმება (ხშირად ჯარიმების დაკისრების სახით), რის შედეგადაც მოძალადეებს თავისუფლების აღკვეთა არ ემუქრებათ. ეს ქმნის აღქმას, რომ კანონით დაშვებულ ასაკზე უმცროსი პირის გაუპატიურება ექვემდებარება მხოლოდ ჯარიმებს, არ წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს და არ აქვს შემაკავებელი გავლენა მოძალადეებზე.

რეკომენდაციები:

- სისხლის სამართლის კოდექსში არსებული გაუპატიურებისა და სექსუალური ხასიათის სხვა დანაშაულების განმარტებები შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი სტამბოლის კონვენციასთან და სხვა საერთაშორისო სტანდარტებთან; კერძოდ, ეს განმარტებები და მათი ინტერპრეტაცია უნდა ეფუძნებოდეს მსხვერპლის თავისუფალ, ჭეშმარიტ და ნებაყოფლობით თანხმობას, ხოლო ძალადობა დამამძიმებელ გარემოებად უნდა ჩაითვალოს;
- უზრუნველყოფილი იქნეს, რომ სექსუალური ძალადობის ყველა ფორმის მიმართ, მათ შორის იმ შემთხვევებშიც, როდესაც მოძალადე არ იყენებს ფიზიკურ ძალას, აღიძრას სისხლისსამართლებრივი დევნა; სისხლისსამართლებრივი დევნა და გამამტყუნებელი განაჩენი არ უნდა შემოიფარგლოს იმ შემთხვევებით, როდესაც მოძალადემ გამოიყენა ფიზიკური ძალა, მსხვერპლმა მას გაუწია ფიზიკური წინააღმდეგობა და მოძალადის სხეულზე აღმოჩენილია მოძალადის ბიოლოგიური მასალა;
- განხორციელდეს აუცილებელი საკანონმდებლო ან სხვა ზომები, რათა უზრუნველყოფილი იქნეს, რომ 139-ე მუხლით გათვა-

[23] იქვე, გვ. 18. იხ., აგრეთვე, ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტისთვის Equality Now-სა და 15 ქართული არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ერთობლივად წარდგენილი დოკუმენტი იმ ფაქტორების შესახებ, რომლებიც ხელს უშლის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის საქართველოში, წარდგენილი 2021 წლის ივნისში, გვ. 5. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/3anyvLD. გაეროს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვისთვის, ადამიანის უფლებათა საბჭოს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის სამუშაო ჯგუფის ოცდამეშვიდე სესიაზე Equality Now-სა და 16 ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ერთობლივად წარდგენილი დოკუმენტი სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შესახებ, 2020 წლის 2-13 ნოემბერი, პუნქტი 17. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/3DhUy2F იხ., აგრეთვე, ზემოთ, სქოლიო 18, სახალხო დამცველის აპარატი და ევროპის საბჭო, გვ. 27-29.

ლისწინებული სანქციები იყოს ეფექტური, თანაზომიერი და გადამარწმუნებელი ზეგავლენის მქონე, როგორც ამას მოითხოვს სტამბოლის კონვენცია და ადამიანის უფლებათა სხვა საერთაშორისო სტანდარტები;

- არ გაფორმდეს საპროცესო შეთანხმებები სრულწლოვანი პირის მიერ წინასწარ შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველი პირის სხეულში სექსუალური შეღწევის (ე.წ. სტატუტორყ რაპე) შემთხვევებში;
- შეგროვდეს მონაცემები, მათ შორის სტატისტიკური მონაცემები მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელთა მიმართ სექსუალური ხასიათის დანაშაულებზე, რომლებიც კლასიფიცირებული იქნება სქესის, ეთნიკური წარმომავლობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის, პროსტიტუციაში ჩართულობისა და მოწყვლადობის სხვა ინდიკატორების მიხედვით;
- ე.წ. PEACE მეთოდოლოგიის[24] შესაბამისად შემუშავდეს სექსუალური ძალადობის დანაშაულის მსხვერპლთა გამოკითხვის კონკრეტული მეთოდოლოგია და უზრუნველყოფილი იქნეს მისი თანმიმდევრული დანერგვა პრაქტიკაში;
- გამოკითხვა ჩატარდეს პრივატულ ადგილებში და შეიზღუდოს გამოკითხვის დროს ოთახში მყოფ პირთა რაოდენობა იმ პირებამდე, ვისაც არსებითი მნიშვნელობა აქვს გამოკითხვის პროცესისთვის;
- უზრუნველყოფილი იქნეს მსხვერპლის განცხადებების სიტყვასიტყვით ჩაწერა და ამით თავიდან იქნეს აცილებული მსხვერპლის/მოწმის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შეჯამება, შეკვეცა ან ნაწილების ამოჭრა გამოკითხვის დროს ინფორმაციის ჩაწერისას; მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი გამოკითხვების რაოდენობა და გამოკითხვა მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში ჩატარდეს, ხელახალი ტრავმატიზაციის თავიდან ასაცილებლად;
- აღმოიფხვრას სექსუალური ძალადობის მსხვერპლის სანდოობაზე ყურადღების გამახვილების პრაქტიკა, სხვა საკითხებთან ერთად, მსხვერპლის სექსუალური ისტორიის შესახებ მტკიცებულებათა მოთხოვნაზე უარის თქმით;
- უზრუნველყოფილი იქნეს, რომ სექსუალური ძალადობის შემთხვევებთან მიმართებაში მსხვერპლებს ღირსეულად და პატივისცემით ეპყრობოდნენ და პროცესის ყველა ეტაპზე გათვალისწინებული იყოს გენდერული საკითხები;
- უზრუნველყოფილი იქნეს, რომ ქალთა მიმართ ძალადობის ყველა შემთხვევაში, მათ შორის სექსუალური ძალადობის შემთხვევაში საგულდაგულოდ იყოს გამოკვლეული გენდერული მოტივი და სასჯელის დაკისრებისას ეს მოტივი დამამძიმებელ გარემოებად იქნეს გამოყენებული.

[24] PEACE მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით იხილეთ ევროპის საბჭოს, გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და ორგანიზაციის Equality Now პუბლიკაცია „სექსუალური ძალადობის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლო განხილვის სახელმძღვანელო (გამომძიებლების, პროკურორებისა და მოსამართლეებისთვის)“, 2021 წლის სექტემბერი, გვ. 64 ეტ სექ. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/3xyGFwA